# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 101

„19“ აპრილი 2019 წ

ქ. თბილისი

**კომერციულ ბანკებში საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის და “კომერციულ ბანკებში გახსნილი საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის გამოთხოვის თაობაზე” მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 აპრილის N19.418.579 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისში კაპიტალური ინვესტიციების განხორციელების მიზნით, კომერციულ ბანკებში საკრედიტო ხაზის ლიმიტის, 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარის ოდენობით, გაზრდის თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე